

საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსის პირობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსს (შემდეგში – „საგრანტო კონკურსი“).

1. საგრანტო კონკურსის მიზანი:

- ა) საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში, ვორკშოპებში/ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ბ) ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- გ) კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით;
- დ) ადგილობრივი/საერთაშორისო შემოქმედებითი და საქმიანი კონტაქტების დამყარება/განვითარების ხელშეწყობა;
- ე) ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

2. საგრანტო კონკურსის პრიორიტეტი:

კულტურის ან/და საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობა ბენეფიციარის პროფესიული განვითარებისთვის

3. საგრანტო კონკურსის პირობები:

3.1 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ: ფიზიკურ პირს (საქართველოს მოქალაქე), ფიზიკურ პირთა ჯგუფს (საქართველოს მოქალაქეები) ან/და იურიდიულ პირს, გარდა საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე, ან მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციისა, ქორეოგრაფიული ანსამბლისა.

3.2 თუ განმცხადებელი ფიზიკურ პირთა ჯგუფია, მიმართვის წერილი ხელმოწერილი უნდა იყოს თითოეული პირის მიერ, ან წარმოდგენილ იქნას ჯგუფის წევრთა თანხმობის წერილი წარმომადგენლად ერთი პირის (ვინაობისა და პირადი ნომრის მითითებით) არჩევის თაობაზე.

3.3 საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე ფიზიკურ პირთა ჯგუფმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში უნდა წარმოადგინოს მინდობილობის დოკუმენტი ჯგუფის წარმომადგენლად და საგრანტო წესით მიღებული ფულადი სახსრების განმკარგველად ერთი პირის (ვინაობისა და პირადი ნომრის მითითებით) არჩევის თაობაზე.

3.4 თუ საგრანტო კონკურსში მონაწილე პირი არასრულწლოვანია, განმცხადებელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში უნდა

წარმოადგინოს მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი არასრულწლოვანი პირის ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობის შესახებ.

4. ღონისძიების მახასიათებლები

საგრანტო განაცხადით წარმოდგენილი ღონისძიება უნდა იყოს:

- ა) სახელოვნებო ხასიათის: მუსიკალური, თეატრალური, სალიტერატურო, საგამოფენო;
- ბ) საგანმანათლებლო ხასიათის: ტრენინგი/ვორკშოპი კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით.

5. საგრანტო განაცხადების მიღების განრიგი და პირობები

5.1 საგრანტო კონკურსის ფარგლებში განაცხადები მიიღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, წელიწადში ორჯერ, შემდეგი განრიგით:

ა) I ეტაპი: 3 დეკემბრიდან 13 დეკემბრის 15 საათამდე (I ეტაპის საკონკურსო ბიუჯეტი შეადგენს 34 000 ლარს);

ბ) II ეტაპი: 10 აპრილიდან 11 მაისის 15 საათამდე (II ეტაპის საკონკურსო ბიუჯეტი შეადგენს 40 700 ლარს, რასაც დაემატება პირველ ეტაპზე საგრანტო განაცხადების დაფინანსების შემდეგ დარჩენილი რესურსი, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.2 საკონკურსო დოკუმენტაცია სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე.

5.3 საგრანტო კონკურსის ფარგლებში საგრანტო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს როგორც მატერიალური (ნაბეჭდი), ასევე ელექტრონული (CD დისკზე) ფორმით და დარეგისტრირდეს სამინისტროს კანცელარიაში (საკონკურსოდ შემოტანილი მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ). წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

5.4 უპირატესობა მიენიჭება თანადაფინანსების მქონე პროექტებს (თანადაფინანსება გულისხმობს როგორც მიმწვევი მხარის მიერ გაწეულ ხარჯს, ასევე სხვა ალტერნატიულ დაფინანსებას);

5.5 საგრანტო კონკურსის 2020 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 74 700 ლარით. საკონკურსო ბიუჯეტში არასაკმარისი რესურსის შემთხვევაში დაფინანსდება უმაღლესი შეფასების მქონე საგრანტო განაცხადები;

5.6 ერთი პროექტის განხორციელებისათვის გაიცემა გრანტი არაუმეტეს 19 000 ლარის ოდენობით;

5.7 საგრანტო კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს ღონისძიებაზე რეგისტრაციის/მონაწილეობის, ტრანსპორტირების, განთავსების, კვების ხარჯი;

5.8 სამინისტროს მიერ ანაზღაურდება განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის (ბრძანების გამოცემის) შემდეგ გაწეული ხარჯები (რეგისტრაციის/მონაწილეობის, ტრანსპორტირების, განთავსების, კვების ხარჯი). განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენამდე გაწეული ხარჯი ანაზღაურდება მხოლოდ ავიატრანსპორტირების პუნქტის

ფარგლებში, განმცხადებლის მიერ ავიაბილეთისა და მისი შესყიდვის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენის შემთხვევაში.

5.9 საგრანტო განაცხადით დასაფინანსებლად წარმოდგენილი, განთავსების და კვება/შიდა ტრანსპორტირების ხარჯი გათვლილი უნდა იყოს არაუმეტეს უწყვეტ 10 კალენდარულ დღეზე; შენიშვნა: 10 დღიანი ვადის ათვლა დაიწყება ავიატრანსპორტირების თარიღიდან;

5.10 კონკურსის ფარგლებში თანხა გაიცემა საგრანტო წესით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.11 დაფინანსებული პროექტის განხორციელება უნდა დასრულდეს:

ა) I ეტაპზე შემოსული საგრანტო განაცხადების შემთხვევაში _ 2020 წლის 1 ივნისამდე;

ბ) II ეტაპზე შემოსული საგრანტო განაცხადების შემთხვევაში _ 2020 წლის 15 დეკემბრამდე.

5.12 საგრანტო კონკურსის ფარგლებში განმცხადებელი გრანტს მიიღებს მხოლოდ ერთხელ. ხელახალი განაცხადის შემოტანის შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება.

6. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

6.1 როდესაც განმცხადებელი არის ინდივიდუალური შემსრულებელი (ფიზიკური პირი), წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) საგრანტო განაცხადი (შევსებული დანართი 1 მიხედვით);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და მოქალაქის რეგისტრაციის დამადასტურებელი საინფორმაციო ბარათი (რომლითაც დგინდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მისი რეგისტრაციის ფაქტი);

გ) შემოქმედებითი ბიოგრაფია (CV);

დ) ოფიციალური მოწვევა კულტურულ/საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად (უცხოენოვანი მოწვევის შემთხვევაში სახელმწიფო (ქართულ) ენაზე თარგმნილი, ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

ე) ცნობა დაფინანსების შემთხვევაში სამსახურიდან დროებით გათავისუფლების ხელშემშლელი პირობების არარსებობის შესახებ;

ვ) მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შვილის/მეურვეობაში მყოფი პირის ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობის შესახებ, თუ ღონისძიების მონაწილე არასრულწლოვანია;

ზ) ტრანსპორტირებისა და განთავსების მომსახურების ღირებულების ამსახველი წინასწარი დოკუმენტი (ინვოისი), აღნიშნული ხარჯის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში;

თ) საბანკო რეკვიზიტები (სასურველია შესაბამისი ბანკის მიერ გაცემული ამონაწერი);

ი) თანადაფინანსების შემთხვევაში თანადაფინანსების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;

კ) სარეკომენდაციო წერილი.

6.2 როდესაც განმცხადებელი არის არარეგისტრირებული შემოქმედებითი ჯგუფი (ფიზიკურ პირთა ჯგუფი), წარმოდგენილ უნდა იქნეს:

- ა) საგრანტო განაცხადი (შევსებული დანართი 1 მიხედვით), რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს თითოეული პირის მიერ, ან წარმოდგენილ იქნას ჯგუფის წევრთა თანხმობის წერილი წარმომადგენლად ერთი პირის (ვინაობისა და პირადი ნომრის მითითებით) არჩევის თაობაზე;
- ბ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე ფიზიკურ პირთა ჯგუფმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში უნდა წარმოადგინოს მინდობილობა, ჯგუფის წარმომადგენლად და საგრანტო წესით მიღებული ფულადი სახსრების განმკარგველად ერთი პირის (ვინაობისა და პირადი ნომრის მითითებით) არჩევის თაობაზე;
- გ) ჯგუფის თითოეული წევრის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და მოქალაქის რეგისტრაციის დამადასტურებელი საინფორმაციო ბარათი (რომლითაც დგინდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტი);
- დ) ინფორმაცია შემოქმედებითი ჯგუფის საქმიანობის შესახებ (შემოქმედებითი ბიოგრაფია);
- ე) ოფიციალური მოწვევა კულტურულ/საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად (უცხოენოვანი მოწვევის შემთხვევაში სახელმწიფო (ქართულ) ენაზე თარგმნილი, ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
- ვ) ცნობა დაფინანსების შემთხვევაში ჯგუფის წევრთა სამსახურიდან დროებით გათავისუფლების ხელშემშლელი პირობების არარსებობის შესახებ;
- ზ) მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შვილის/მეურვეობაში მყოფი პირის ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობის შესახებ თუ ღონისძიების მონაწილე არასრულწოვანია;
- თ) ტრანსპორტირებისა და განთავსების მომსახურების ღირებულების ამსახველი წინასწარი დოკუმენტი (ინვოისი), აღნიშნული ხარჯის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში;
- ი) საბანკო რეკვიზიტები (სასურველია შესაბამისი ბანკის მიერ გაცემული ამონაწერი);
- კ) თანადაფინანსების შემთხვევაში თანადაფინანსების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ლ) სარეკომენდაციო წერილი.

6.3 როდესაც განმცხადებელი არის იურიდიული პირი, წარმოდგენილ უნდა იქნეს:

- ა) საგრანტო განაცხადი (შევსებული დანართი 1 მიხედვით);
- ბ) სადამფუძნებლო დოკუმენტი (რომლითაც დგინდება იურიდიულ მისამართად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრაციის ფაქტი);
- გ) ინფორმაცია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ (შემოქმედებითი ბიოგრაფია);
- დ) ოფიციალური მოწვევა კულტურულ/საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად (უცხოენოვანი მოწვევის შემთხვევაში სახელმწიფო (ქართულ) ენაზე თარგმნილი, ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
- ე) ცნობა დაფინანსების შემთხვევაში ღონისძიებაში მონაწილე პირების სამსახურიდან დროებით გათავისუფლების ხელშემშლელი პირობების არარსებობის შესახებ;
- ვ) მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შვილის/მეურვეობაში მყოფი პირის ღონისძიებაში მონაწილეობაზე თანხმობის შესახებ, თუ ღონისძიების მონაწილე არასრულწოვანია;

- ზ) ტრანსპორტირებისა და განთავსების მომსახურების ღირებულების ამსახველი წინასწარი დოკუმენტი (ინვოსი), აღნიშნული ხარჯის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში;
- თ) საბანკო რეკვიზიტები (სასურველია შესაბამისი ბანკის მიერ გაცემული ამონაწერი);
- ი) თანადაფინანსების შემთხვევაში თანადაფინანსების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კ) სარეკომენდაციო წერილი.

7. საგრანტო განაცხადების განხილვის წესი

- 7.1 საგრანტო განაცხადებს იხილავს, წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე აფასებს და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით შექმნილი საგრანტო კომისია;
- 7.2 საგრანტო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს ეცნობება საგრანტო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის ვადაში.

8. ანგარიშსწორების წესი

- 8.2 ანგარიშსწორება გრანტის მიმღებთან განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 8.3 წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია პროექტის ღირებულების არაუმეტეს 70 % ის ოდენობით, ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
- 8.4 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსად მიღებული თანხის მიზნობრივი ხარჯვისა და დარჩენილ თანხაზე (30%) აღებული ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.
- 8.5 იურიდიული პირის შემთხვევაში წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია მხოლოდ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შედეგად.
- 8.6 მიღებული გრანტის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ხარჯვასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები.

საგრანტო კონკურსის პირობები, საგრანტო განაცხადისა და ანგარიშგების ფორმები, ასევე, დამხმარე სახელმძღვანელო (გზამკვლევი) განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.moecs.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი (მისამართი: ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა №4).

ელ-ფოსტა: artistsmobility.ajara@gmail.com

ტელ: 422 245382